

თამარ ვაშაკიძე, ნინო ჯორბენაძე,
მაკა ლაბარტყავა, ლევან ვაშაკიძე

მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის ელექტრონული ვერსიისათვის

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, კერძოდ, ქვეყნის გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე და მისმა ჩართვამ მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში დიდძალი ახალი ლექსიკა შესძინა ქართულ ენას. იგი საგრძნობლად შეივსო ახალი ცნებების აღმნიშვნელი საერთაშორისო სიტყვებითა და გამოთქმებით, სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიით, რის გამოც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის საკითხი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოსწავლემ სკოლაშივე სწორად აითვისოს ახალი ტერმინოლოგია და გამართულად შეძლოს წერა თუ მეტყველება სახელმწიფო ენაზე. სწორედ ამ მიზნით მომზადდა ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის სასკოლო გამოცემა – ელექტრონული ვერსია.

ლექსიკონი ემყარება სხვადასხვა დარგის სასკოლო სახელმძღვანელოებს და ითვალისწინებს მოსწავლე-ახალგაზრდობის ზეპირ თუ წერით მეტყველებასა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში (პრესა, რადიო, ტელევიზია) დადასტურებულ შეცდომებს, აგრეთვე – კომპიუტერის მოხმარებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

გარდა წმინდა ორთოგრაფიულ-სტილისტიკური შეცდომებისა, ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიაში გათვალისწინებულია სინტაქსურ-სტილისტიკური დარღვევები თუ უზუსტობანი. საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ ერთეულთან წარმოდგენილია სათანადო განმარტებებიც.

ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიაში ორთოგრაფიულ-გრამატიკული თუ სინტაქსური შეცდომები გასწორებულია ქართული ენის ვრცელ ორთოგრაფიულ ლექსიკონში დამკვიდრებული [და არა], [კი არა] აღნიშვნების გამოყენებით. ეს წესი საშუალებას აძლევს მოსწავლეს, საინტერესო სიტყვა იპოვოს არამხოლოდ სწორი, არამედ უმარ-

თებულო ფორმის მიხედვითაც, მეტადრე მაშინ, როცა ამ სიტყვების ანბანური რიგი ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგ.: მ ასოზე გვაქვს **მჭადი** [და არა ჭადი], ასო ჭ-ზე კი – [ჭადი კი არა] **მჭადი**; ან კიდევ: **ტრილერი** [და არა თრილერი], [თრილერი კი არა] **ტრილერი**; **უზრუნველყოფ** [და არა ვუზრუნველყოფ], [ვუზრუნველყოფ კი არა] **უზრუნველყოფ**; **იყიდება** [და არა გაყიდვაშია] **წიგნი**, **კომპიუტერი**, [გაყიდვაშია კი არა] **იყიდება**...

თუკი სწორი და უმართებულო ფორმები ანბანურად ერთმანეთთან ახლოსაა, ისინი ლექსიკონში წარმოდგენილია ერთადერთი მართებული ვარიანტით, მაგ.: **აამუშავებინებს**, **აამუშავებინა**, **აუმუშავებინებია**, **აემუშავებინებინა**; **დააწერინებს**, **დააწერინა**, **დაუწერინებია**, **დაეწერინებინა** და სხვ.

კუმშვად და კვეცად სახელებს (საჭიროების შემთხვევაში უკუმშველ-უკვეცელებსაც) მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რაც დაეხმარება მოსწავლეს – გაარკვიოს, მოცემული სახელი კუმშვადია თუ უკუმშველი, კვეცადი თუ უკვეცელი, მაგ.: **მკვლევა** (მკვლევრის[ა]), **ნიგოზი** (ნიგვზის[ა]), **მსმენელი** (მსმენელის[ა]), **ლიმონი** (ლიმონის[ა]), **მაცნე** (მაცნის[ა]), **დედისერთა** (დედისერთას[ი], მრ. დედისერთები), **კაფე** (კაფეს[ი]), **მეორე** (მეორის[ა]) და ა. შ.

თუ სახელის ბოლოკიდური ი ფუძისეულია (და არა სახელობითი ბრუნვის ნიშანი), ასეთ სიტყვას მრგვალ ფრჩხილებში მიეწერება მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები, მაგ.: **ჟიური** (მოთხრ. ჟიურიმ, მიც. ჟიურის)...

ზოგჯერ (როცა მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავებულია კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით) მეთაურ სიტყვასთან წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვიც, მაგ.: **ფეხსაცმელი** (ფეხსაცმლის[ა], მრ. ფეხსაცმელები), **სასმელი** (სასმლის[ა], მრ. სასმელები) და სხვ.

ელექტრონულ ვერსიაში დიდი ადგილი ეთმობა რთული შედგენილობის ერთეულებს, მაგ.: **და-მმა**, მაგრამ: **დამმოზა**, **დამმური**; **სტუმარ-მასპინძელი**, მაგრამ: **სტუმარმასპინძლობა**, **სტუმარმასპინძლური**, ან კიდევ: **აატარ-ჩამოატარებს**, **აატარ-ჩამოატარა**, **აუტარ-ჩამოუტარებია**, **აეტარ-ჩამოეტარებინა**; **გადაიყვან-გადმოიყვანს**, **გადაიყვან-გადმოიყვანა**, **გადაუყვან-გადმოუყვანია**, **გადაეყვან-გადმოეყვანა** და ა. შ.

მეთაურ ერთეულად გატანილია ზოგი თანდებულები და წარმოდგენილია მათი უმართებულოდ გამოყენების შემთხვევები, მაგ.: - **ვით: დედასავით; მეგობარივით, მეგობარსავით** [და არა დედისავით, მეგობრისავით], ან კიდევ: -**გან (-დან): ხისგან/ქვისგან** [და არა ხიდან, ქვიდან] **გამოთალა**, მაგრამ: **ხიდან ჩამოხტა; ქვიდან ქვაზე გადახტა...**

ზმნები წარმოდგენილია საკვანძო ფორმებით – მესამე პირის მხოლოობითი რიცხვი, აწმყო ან მყოფადი, წყვეტილი (თუ რაიმე თავისებურება გვაქვს – სხვა მწკრივებიც), პირველი და მეორე თურმეობითები. საჭიროების შემთხვევაში მრგვალ ფრჩხილებში მითითებულია პირველი და მეორე პირის ფორმები: **დააჯილდოებს, დააჯილდოვა, დააჯილდოოს (დავაჯილდოო, დააჯილდოო), დაუჯილდოებია, დაუჯილდოებინა; დააწყოზს** (წიგნებს მაგიდაზე); **დააწყო** (დავაწყვე, დააწყვე), **დაუწყვია, დაეწყო; დაახურდავებს, დაახურდავა, დაახურდაოს (დავახურდაო, დაახურდაო), დაუხურდავებია, დაეხურდავებინა**, ან კიდევ: **გრეხს, გრეხდა, გრეხდეს** [და არა გრეხავს, გრიხავს; გრეხავდა, გრიხავდა; გრეხავდეს, გრიხავდეს], **გრიხა, უგრეხია, ეგრეხა** და სხვ.

ერთი და იმავე ფუძის ზმნები, რომლებსაც განსხვავებული რაოდენობის პირები შეეწყობა, ერთმანეთისაგან გამიჯნულია მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნებით, ნაცვალსახელებითა თუ კონტექსტის მიხედვით შეწყობილი სიტყვებით, მაგ.: **სდის** (მას ცრემლი), მაგრამ: **დის** (წყალი); **ამოდის** (მზე), მაგრამ: **ამოსდის** (მას მზე ვინმეზე); **სცხელა** (მას), მაგრამ: **ცხელა** (საერთოდ); **სჭრის** (ის ხეს ტოტს), მაგრამ: **ჭრის** (ის ტორტს), ან კიდევ: **ჰბანს** (ის მას ხელებს), მაგრამ: **ბანს** (ის ბავშვს); **ჰკრავს** (ის მას ხელს), მაგრამ: **კრავს** (ის ბარგს); **ჰფენია** (მას სახეზე ნათელი), მაგრამ: **ფენია** // **აფენია** (ხალიჩა) და ა. შ.

არცთუ იშვიათად სწორედ მესამე ობიექტური პირის ნიშნის ზედმეტად გამოყენება თუ დაკლება ხდება ხოლმე მიზეზი ერთი სახის პარონიმულ წყვილთა წარმოქმნისა, მაგ.: **სჩადის** და **ჩადის**; **სჩადის ცოდვას/დანაშაულს**, მაგრამ: **ჩადის კიბეზე**; ან კიდევ: **სჭირს** და **ჭირს** – **სჭირს მას სურდო/გრიპი**, მაგრამ: **ჭირს კარგი სპეციალისტი** და სხვ.

ლექსიკონში გათვალისწინებულია აგრეთვე მსგავსი სტრუქტურის მქონე ზმნათა აღრევის შემთხვევები, მაგ.: **აცვამს** და **აცმევს**; **აცვამს ჯვარს**, მაგრამ: **აცმევს მას კაბას**, **იცვამს თვითონ** [და არა იცმევს]; **ასვამს** და **ასმევს**; **ასვამს დაღს**, მაგრამ: **ასმევს წყალს** და ა. შ.

ელექტრონულ ვერსიაში წარმოდგენილია აგრეთვე რიცხვისა თუ დრო-კილოთა ნაკვთების მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნები: **ზის** (ის), მაგრამ: **სხედან** (ისინი); **ამბობს**, **იტყვის**, **თქვა**...

აზრობრივ-სინტაქსური შეცდომები გასწორებულია შესაბამისი კონტექსტების გათვალისწინებით, მაგ.: **რადგან** (მიზეზი: „წყალი ძელსა არ დაძირავს, **რადგან** მისი გაზრდილია“), **შდრ.**: **რათა** (მიზანი: ლუკამ ბეჯითად იმეცადინა, **რათა** გამოცდები კარგად ჩაებარებინა), ან კიდევ: **იმის(ა)თვის** (მიზანი: **იმის(ა)თვის**, რომ სკოლაში არ დაიგვიანო, ადრე უნდა ადგე), **შდრ.**: **იმის გამო** // **იმიტომ** (მიზეზი: ნინოს გაკვეთილზე დააგვიანდა **იმის გამო** // **იმიტომ**, რომ სკოლის ეზოში მეგობარს ელაპარაკებოდა...).

გათვალისწინებულია (როგორც ითქვა) სტილისტიკური უზუსტობანიც, მაგ.: [ადგილი აქვს შეხვედრებს/ბოროტმოქმედებას კი არა] **ეწყობა/იმართება შეხვედრები**, **ხდება ბოროტმოქმედება**, მაგრამ: **ყველაფერს თავისი ადგილი აქვს**, ან კიდევ: **აქედან გამომდინარე** (ეს გამოთქმა ხშირად უმართებულოდ გამოიყენება **ამიტომ**, **ამის გამო** სიტყვების მნიშვნელობით, მაგ.: მას რომ მუშაობა არ შეუძლია, **აქედან გამომდინარე** ჩვენც უნდა გავჩერდეთ? უნდა იყოს: მას რომ მუშაობა არ შეუძლია, **ამიტომ/ამის გამო** ჩვენც უნდა გავჩერდეთ?); **გააჟღერა** (უმართებულოა **გააჟღერა** ფორმის გამოყენება **აღნიშნა**, **განაცხადა**, **თქვა** ზმნების მნიშვნელობით, მაგ.: შეხვედრაზე მინისტრმა **გააჟღერა**, რომ ამ საკითხს აუცილებლად განიხილავდა, უნდა იყოს: შეხვედრაზე მინისტრმა **აღნიშნა/განაცხადა/თქვა**, რომ ამ საკითხს აუცილებლად განიხილავდა, მაგრამ: მუსიკოსმა სასიამოვნოდ **გააჟღერა სიმები...**); **აფიქსირებს** (უმართებულოა ამ ზმნის გამოყენება **აღნიშნა**, **თქვა**, **განაცხადა** მნიშვნელობით, მაგ.: თავმჯდომარემ **დააფიქსირა**, რომ სხდომა ხუთ საათზე გაგრძელდებოდა, უნდა იყოს: თავმჯდომარემ **განაცხადა/აღნიშნა/თქვა**, რომ სხდომა ხუთ საათზე გაგრძელდებოდა. **აფიქსირებს** ზმნა ბუნებრივია შემდეგი ტიპის კონტექსტში: მეცნიერმა არაერთი ანალოგიური **ფაქტი დააფიქსირა**); **ახმოვანებს** (უმართებულოა ამ ზმნის გამოყენება აზრის გამოთქმის ან გამოცხადების მნიშვნელობით, მაგ.: პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს **გაახმოვანებს**, უნდა იყოს: პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს **გამოაცხადებს/განაცხადებს...** **ახმოვანებს** ზმნის გამოყენება მართებულია შემდეგი ტიპის კონტექსტში: ფილმის **პერსონაჟს** ქართველი მსახიობი **ახმოვანებს**); **მიდის** (შეცდომაა: **კამათი ხუთ წუთს მიდიოდა**; **ყველაფერი კარგად მიდის**; **საუბარი მიდიოდა** ამ საკითხის შესახებ..., უნდა

იყოს: **კამათი ხუთ წუთს გრძელდებოდა; ყველაფერი კარგად არის/მიმდინარეობს; საუბრობდნენ ამ საკითხის შესახებ/ამ საკითხზე).**

ელექტრონულ ლექსიკონში დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე ქართულში ყველაზე ხშირად დადასტურებულ პარონიმულ წყვილებს, რომლებსაც სათანადო განმარტებებიც ახლავს, ან კიდევ (მეტი სიცხადისათვის) წყვილის თითოეულ წევრს მრგვალ ფრჩხილებში მიეწერება სავარაუდო კონტექსტის მიხედვით შეწყობილი სიტყვები, მაგ.: **გასამართლებელი და გასასამართლებელი: გასამართლებელი** (= 1. ვინც უნდა გაამართლონ, ვისი გამართლებაც შეიძლება; 2. რითაც უნდა გაამართლონ ან გამართლდეს: **გასამართლებელი** საბუთი) – **გასასამართლებელი** (= ვინც უნდა გაასამართლონ, სამართალში მისცენ); **ბრუნება და ბრუნვა: ბრუნება** (= გრამატ. სახელის ცვლა ბრუნვათა მიხედვით: **წიგნი, წიგნმა, წიგნს, წიგნის...**) – **ბრუნვა** (სახელობითი/მოთხრობითი/მიცემითი/ნათესაობითი... **ბრუნვა**); **განსაზღვრა და განსაზღვრება: განსაზღვრა** (= 1. რაიმეს საზღვრების, ფარგლების დადგენა: მოცულობის **განსაზღვრა**; 2. რაიმე ცნების მეცნიერული დახასიათება, განმარტება, მაგ.: ტერმინის **განსაზღვრა...**) – **განსაზღვრება** (= გრამატ. წინადადების წევრი, რომელიც ახასიათებს სხვა წევრს – ქვემდებარეს: **დადლილმა ბავშვმა** მალე ჩაიძინა; **დამატებას: ნინომ საინტერესო წიგნი წაიკითხა...**); **დიპლომატიური** (ქცევა) – **დიპლომატიური** (კორპუსი) – **დიპლომატიკური** (საბუთები); **მეკავშირე და მოკავშირე: მეკავშირე** (= სპეც. კავშირის დამამყარებელი სამხედრო ქვედანაყოფებს შორის ბრძოლის დროს: **მეკავშირე** დილით დაბრუნდა) – **მოკავშირე** (= ვისაც, რასაც კავშირი აქვს შეკრული ვინმესთან, რაიმესთან: სტრატეგიული **მოკავშირეები**); **რეალური და რეალისტური: რეალური** (= 1. ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტი: **რეალური** მდგომარეობა; 2. რისი განხორციელებაც შესაძლებელია: **რეალური** მოთხოვნა...) – **რეალისტური** (= რეალიზმისათვის, რეალისტური მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი: მწერლის **რეალისტური** ხედვა); **ევროპეიზაცია და ევროპეიზმი: ევროპეიზაცია** (= ევროპული კულტურის შეთვისება-გავრცელება) – **ევროპეიზმი** (= ევროპის კულტურის თავისებურებანი სხვა, მაგ., აღმოსავლეთის ქვეყნების – კულტურასთან შეპირისპირებით); **მოდერნიზმი და მოდერნიზაცია: მოდერნიზმი** (= ლიტ., ხელოვნ. საერთო სახელწოდება სხვადასხვა ახალი, თანამედროვე მიმდინარეობისა) – **მოდერნიზაცია** (= გათანამედროვეება, განახლება: მანქანის/ქალაქის... **მოდერნიზაცია**); **მგრძნობელობა და მგრძნობიარობა: მგრძნობელობა** (= გამღიზიანებლის – რე-

ცეპტორების – მოქმედებაზე რეაქციის უნარი: ავადმყოფს კიდურებში **მგრძნობელობა** აღუდგა) – **მგრძნობიარობა** (= მგრძნობიარე ადამიანის თვისება, გულჩვილობა); **პარლამენტარული** (პარტია) – **პარლამენტური** (რესპუბლიკა) – **საპარლამენტო** (არჩევნები); **რეფორმატორი** და **რეფორმისტი**: **რეფორმატორი** (= რეფორმის მომხდენი, გამტარებელი) – **რეფორმისტი** (= რეფორმიზმის მომხრე); **ყველა** და **ყოველი**: **ყველა** (= უკლებლივ, მთლიანად: **ყველა** მოვიდა) – **ყოველი** (= მრავლიდან თითოეული: **ყოველი** ჩვენგანი/თქვენგანი); **ჰუმანური** (ადამიანი) – **ჰუმანისტური** (ხედვა) – **ჰუმანიტარული** (მეცნიერებანი/დახმარება) და სხვ.

საჭიროების შემთხვევაში მეთაურ სიტყვას ახლავს მოკლე განმარტება-რეკომენდაციაც, მაგ.: **არის**, **არიან**: ვინ ჯგუფის სახელებთან მრავლობით რიცხვში **არიან** ფორმა გამოიყენება სრული სახით (შეუმოკლებლად): მეგობრები/მეზობლები... **არიან** [და არა მეგობრებია/მეზობლებია...].

ზოგ შემთხვევაში უკვე ნორმად მიღებულ ლექსიკურ ერთეულებთან დაშვებულია პარალელური ვარიანტები, მაგ.: **დათრგუნვილი** (// **დათრგუნული**), შესაბამისად: **დათრგუნვილა** (// **დათრგუნულა**), **დათრგუნვილიყო** (// **დათრგუნულიყო**)...

თუ ერთი და იგივე სიტყვა განსხვავებულად იწერება სხვადასხვა შემთხვევაში, ლექსიკონში ორივე ვარიანტია წარმოდგენილი, მაგ.: **არც ერთი**: „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არაბი და არც მეორე – ვენეციელი“, მაგრამ: **არცერთი**: **არცერთი** არგუმენტი არ არის მისაღები; **ვერც ერთი** (**ვერც ერთმა** უპასუხა კითხვაზე სწორად და ვერც – მეორემ), მაგრამ: **ვერცერთი** (აბიტურიენტმა **ვერცერთ** კითხვაზე პასუხი ვერ გასცა), ან კიდევ: **ნურც ერთი** და **ნურც მეორე**, მაგრამ: **ნურცერთი** თქვენგანი/ჩვენგანი და სხვ.

ელექტრონული ვერსიის ცნებაში, ბუნებრივია, იგულისხმება კარგად გამართული საძიებო სისტემის მქონე პროგრამა (და არა ლექსიკონის ელექტრონული ჩანაწერი), რომელიც მოამზადეს ლ. ვაშაკიძემ და მ. ლაბარტყავამ.

ვებგვერდის მისამართია: <http://www.ice.ge/liv/liv/sasko.php>

ლიტერატურა

- ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
- შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2002; 2007; 2009.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი, 1970; 1986; ბიულეტენი #1-2, თბილისი, 1985; #3, თბ., 1987.
- ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965; 1988; 2005.
- ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1968; 1998.
- ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
- ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი, 2001.
- ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I, თბილისი, 2009; 2010.
- ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, II, თბილისი, 2011.
- ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბილისი, 2002.
- სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 2011.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბილისი, 1950-1964.
- ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 2011.
- კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, I-XV, თბილისი, 1972-2015.
- ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973.
- მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989.

**Tamar Vashakidze, Nino Jorbenadze,
Maka Labartkava, Levan Vashakidze**

**On the Electronic Version of the Orthographic-Stylistic
Dictionary for Students**

Summary

Over the past decades the social and political events, in particular, the transition of the country to the market economy and its entrance into the world integration process gave a wide new vocabulary to the Georgian language. The language has been filled with new international words and phrases denoting new concepts, the terminology of different fields and thus the issue of the protection of the literary language purity became urgent. In this regard, it is especially important for students to learn new terminology at school and be able to write and speak the state language fluently. For this purpose we have prepared the electronic version of the Georgian orthographic dictionary for schools.

The dictionary is based on the school textbooks for different fields and offers the mistakes of the oral or written speech of the youth and the mass media and also the terminology related to using a computer. Apart from the orthographic-stylistic mistakes the electronic version of the dictionary also considers the syntactic-stylistic mistakes. It gives the definitions of the entries if necessary.

The concept of the electronic version of the dictionary, of course, means the program with a good search engine.